ინფორმაცია პრესისათვის

ს.ს. "თიბისი ბანკი"
მის: თბილისი,მარჯანიშვილის 7
ტელ: 2 27 27 27, ფაქსი: 772 774
e-mail: pr@tbcbank.com.ge

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

### ტრიო „სიმის" შემოქმედებითი საღამო

***28 დეკემბერს, 19:00 საათზე,*** თიბისი გალერეაში ტრიო „სიმის" შემოქმედებითი საღამო გაიმართება. შედგება ორი ვიდეო-კლიპის პრეზენტაცია და რამდენიმე სიმღერის პრემიერა.

თიბისი გალერეაში მოსულ სტუმრებს საშუალება ექნებათ, ნახონ ორი ახალი ვიდეო-კლიპი, სიმღერებზე „ქუთაისი" და „ლოთები". მათ შორის ერთ-ერთი თოჯინური კლიპია, რომლის პრემიერაც თიბისი გალერეაში შედგება.

ტრიო „სიმის" ახალ, საიუბილეო დისკში შესულია როგორც ძველი და ცნობილი სიმღერები, ასევე რამდენიმე ახალი სიმღერაც, რომელიც ახალგაზრდა კომპოზიტორებს ეკუთვნით. დისკის საშუალებით ტრიო 'სიმის" მსმენელი ნატო გელაშვილის, მაცაცო სებისკვერაძის, მარიკა კვალიაშვილის, ოთარ რამიშვილის სიმღერებს მოისმენს. დისკში ასევე შესულია კომპოზიტორ ბიჭიკო ზაქარიაშვილის ახალი სიმღერა.

- ფიზიკური პირების მომსახურება;
- კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ლიდერი დეპოზიტების ბაზარზე
- ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- კო-ბრენდ პროდუქტების ინოვატორი საბანკო სფეროში;
- ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვატორი საქართველოში;
- ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- წარმოდგენილია აზერბაიჯანის და ისრაელის ბაზრებზე;
- პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- FitchRatings: B + and B
- Moody's: B 1 and Ba 3